დასკვნა:**დ03. 3723328001**
თარიღი:**24/11/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 24 ნოემბერს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი.

კომისიის მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების შეჯერების საფუძველზე მომზადდა წინამდებარე დასკვნა, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქვემოთ მოცემული სახით:

1. განხილვისა და დამტკიცების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი, მასში ასახული ინფორმაციები და თანდართული დოკუმენტები ძირითადად თანხვედრაშია საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლითა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრულ წესებთან და ნორმატივებთან;

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები პროპორციულად აბალანსებს გადასახდელების დაგეგმილ მოცულობებს, განსაზღვრულია 37 725,0 ათასი ლარით და იგი 2023 წლისათვის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიური დონის 109,4%-ია.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტით საბიუჯეტო ასიგნებების მოცულობა 34 600,1 ათას ლარს შეადგენს, ხოლო ცალკეული ხარჯების ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში შესაბამისად შეადგენს: შრომის ანაზღაურება 16,9% ; საქონელი და მომსახურება 12,4% ; სუბსიდიები 60,7% ; გრანტები 0,3%; სოციალური უზრუნველყოფა 5,7%; სხვა ხარჯები 3,6% ;

4. 2024 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტის თანახმად იზრდება ისეთი პრიორიტეტების დაფინანსება, როგორიცაა: დასუფთავებისა და გარემოს დაცვითი ღონისძიებები, განათლება, კულტურა, ახალგაზრდობისა და სპორტის სფერო, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებები.

განხილვის პროცესში დაფიქსირდა შემდეგი შენიშვნები და რეკომენდაციები:

- საბიუჯეტო განაცხადის დოკუმენტის აღწერილობით ნაწილი(თანმხლები

მასალაც) ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილია ხარვეზით, რომელიც უნდა გასწორდეს. ამ კუთხით აუცილებელია ცალკეული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების ფარგლებში შემავალი ქვეპროგრამების მოცულობების თანხვედრაში მოყვანა.

-2024 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი წარმოდგენილია პროგრამულ ფორმატში. პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია ითხოვს პროგრამებში(ქვეპროგრამებში) საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შუალედური და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები და მახასიათებლები მოცემული იყოს არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებელში. პროექტში გარდა ცალკეული გამონაკლისებისა არ გვხვდება ხარჯთან პირდაპირ ხარისხობრივ ბმაში მყოფი შედეგების აღწერილობა და შეფასების ინდიკატორები;

-საბიუჯეტო განაცხადის დოკუმენტში წარმოდგენილ აღწერილობით ნაწილს ცალკეული პროგრამების დონეზე აკლია კონკრეტიკა. კერძოდ, პროგრამებსა და ქვეპროგრამებს უნდა დაემატოს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების მიმართულებები კონკრეტული ლოკაციის მითითებით.

მაგალითად, „გზების მოვლა-შენახვა“(პროგრამული კოდი 020101); აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელებისა და შესაბამისად მოსალოდნელი შედეგების აღწერილობითი ნაწილი ბიუჯეტის პროექტში მოცემულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მოთხოვნების არასრულყოფილი ასახვით;

- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტსა და 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტში ასახული გენდერული ასპექტები სასურველია წარმოდგენილი იყოს განმარტებითი ბარათის სახით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით დაუბრუნდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი